გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 99
(11 658)

17 – 19 დეკემბერი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში წაიკითხავთ:

- „ფარჩო“ კახელებს გამორჩეულად ჰყვარებიათ...
- დავიბრუნებთ ციგაობას?
- ვისაც უეფა ეხმარება, სრულყოფილი საქმიანობით სფფ გამოირჩევა
- ვლადიმერ ელოშვილი – უნიკალური ფეხბურთელი და მწვრთნელი
- მისამართი: რონალდოს ქუჩა, რონალდო...

საქართველო

დღეს, თბილისში, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ყოველწლიური სესია ჩატარდება. წარმატებებს ვუსურვებთ სესიის მონაწილეებს მუშაობაში ქართული ოლიმპიური სპორტის საკეთილდღეოდ!

საქართველო

„დაიმსახურე და მიიღე“

სწორედ ასე შეიძლება მოკლედ გამოიხატოს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილება უცხოელი სპეციალისტებისათვის „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის“ წოდების მინიჭების თაობაზე. მას შემდეგ, რაც სპორტის მთავარი მესაჭის ფუნქცია ირაკლი მეძმარიაშვილს დაეკისრა, მისი თაოსნობით, უცხოელ სპეციალისტთა ასეთი სტიმულირება პრაქტიკაში დაინერგა. გაიხსენეთ, მორაგბეთა ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ფრანგი კლოდ სორელისა და მოციგურავე ვახტანგ მურვანიძის მწვრთნელის, ცნობილი რუსი სპეციალისტის ელენა ჩაიკოვსკაიას ღვაწლის დაფასება „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის“ წოდების მინიჭებით.

ახლა ამგვარი დაფასების შანსი გაჩნია უცხოელ ფეხბურთის სპეციალისტებს, რომლებიც ქართულ კლუბებს თავკაცობენ. რომელი უცხოელის ხელმძღვანელობითაც გუნდი გახდება ქვეყნის ჩემპიონი მომავალი წლის მაისში, მწვრთნელს მექანიკურად მიენიჭება ზემოხსენებული საპატიო წოდება. საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, გაისად აუცილებლად გვეყოლება ფეხბურთში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი — პირველი უცხოელი.

საქართველო

სეოკ-ის წევრთა საყურადღებოდ!

დღეს, 20 დეკემბერს, 12 საათზე სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესია.

სეოკ-ის წევრთა რეგისტრაცია დაიწყება იქვე 11 საათიდან.

სეოკ-ის აღმასკომი

ელგუჯა ბერიშვილს!



ამასობაში 50 წელსაც მოუღწევია, — საიუბილეო თარიღს, რომელთაგან საუკუნის მეოთხედზე მეტი ქართული სპორტის კალმით სამსახურსაა შეწირული. ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში შენ მოხვედი შენი ხელწერით და თვალსაჩინო კვალიც დატოვე. შემდეგ გახდი ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ინტერესების დამცველი და მისი უპირველესი დარაჯი. აგერ უკვე ათი წელიწადია, შესაძლებლობების ზღვარზე განაგებ ქართული სპორტული ჟურნალისტიკის საქმეებს. ამ წლებმა არაერთი საინტერესო ღონისძიება მიითვალა, რომელთაგანაც უმთავრესი იყო ქართული ოლიმპიური ენციკლოპედიის გამოცემა. ახლა კი, ქართული სპორტული ენციკლოპედიის შედგენას ხელმძღვანელობ ჩვეული რუდუნებით.

მიიღე საუკეთესო სურვილები და უღრმესი მადლობა ჩვენი რიგების ერთიანობისათვის, რაც, სამწუხაროდ, სანატრელი გაუხდა ქართველ საზოგადოებრიობას.

გულითადად გილოცავთ დაბადებიდან საიუბილეო თარიღს.

საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაციის
პრეზიდიუმის წევრები,
კოლეგები.

სოფიკო ახმეტელის ორი ბრწყინვალე გამარჯვება

ზამთრის სპორტის სახეობებში პირველი ქართველი ოლიმპიელი ქალის სოფიკო ახმეტელის სპორტული ბიოგრაფია გუშინ და გუშინწინ ორი ბრწყინვალე მიღწევით შეივსო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა, როგორც ვწერდით, ამას წინათ, წარმატებით იასპარეზა სტუდენტთა შეჯიბრებაში, ახლა კი ჩვენი სამთომეთხილამურე იტალიის საკურორტო ქალაქ ბორმის ტრასებზე საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში ჩაება და წარმატებითაც. გუშინწინ, სოფიკომ გიგანტურ სლალომში არავის დაუთმო პირველობა 80 მონაწილეს შორის, გუშინ კი ასევე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა სპეციალურ სლალომში გამარჯვებისათვის.

როგორც ხედავთ, ჩვენი სპორტსმენი დამაჯერებლად ჩაერთო ახალი სპორტული სეზონის ასპარეზობებში და მისგან ახალ წარმატებებს უნდა ველოდოთ. რაც მთავარია, საქართველოდან ორგზის ოლიმპიელმა, მესამედაც უნდა შესძლოს ზამთრის ოლიმპიადაში ასპარეზობა.

შეძლებს კიდეც!

„დინამო“ გაიმარჯვა!



ვერის ბაღი. მ. კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზი. 18 დეკემბერი.

დინამო (თბ) –
ნტდ დევონი (ბაქო)
131:99 (60:43)
19:22; 31:26; 39:21; 32:30.

განსაკუთრებით შთამბეჭდავად მასპინძლებმა მესამე პერიოდში ითამაშეს და ეს ანგარიშშიც აისახა. ფაქტობრივად, ალბათ, სწორედ აქ გადაწყდა მატჩის ბედი და თბილისის „დინამო“ მეორე გუნდი გახდა, რომელმაც „ჩელენჯის“ თასის შემდგომ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. „ახლა ყველაფერს გადაწყვეტს წილისყრა, გააჩნია ვის გადავეყრებით, თუ მომდევნო ეტაპის პირველ მატჩს წარმატებით გავივლით, ჩათვალეთ, რომ უკვე კარგი გუნდი გვყავს“ — განაცხადა მატჩის შემდეგ დინამოელთა თავკაცმა ლევან მოსეშვილმა.

როგორც ხედავთ ამ მატჩში „დინამომ“ 131 ქულა მოაგროვა, რაც წლევანდელი სარეკორდო შედეგია.

ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ბეჟანიშვილი (21 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 3 ჩაჭრა, 1 ფოლი), ნაცვლიშვილი (12, 5, 1, 1, 2), ჩხეიძე (20, 2, 1, 2, 0), მუპე (6, 6, 0, 2, 0), სიროვინა (22, 8, 0, 9, 3), თორთლაძე (3, 1, 1, 0, 0), ჟლენტი (12, 1, 0, 2, 2), მარკოიშვილი (12, 3, 1, 0, 1), ჯაფარიძე (14, 5, 0, 0, 4), ჩუბინიძე (9, 2, 0, 0, 0).**

ირაკლი სარალიძე

ანონსი

შემდეგ ნომერში:

რუბრიკაში „ახალი თაობის ფეხბურთელები“ ლელა ჭანკოტაძის რესპოდენტი იქნება მურთაზ ბურნაძე

გურამ ჩხიკვაძე მოგითხრობთ: რობერტ ფიშერის ამაღლება და დაცემა

ბრაზილიის ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ ნახევარმცველმა რივალდომ განაცხადა, რომ მისმა ყოფილმა კლუბმა — „ბარსელონამ“ სასწრაფოდ უნდა გამოიცვალოს მწვრთნელი.

„თუკი კატალონიელები ლუი ვან გაალს ჩამოიშორებენ, ყველაფერი გამოსწორდება. მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონამ“ მართალია 8 გამარჯვება მოიპოვა ჩემპიონთა ლიგაში, თუმცა ეროვნულ ჩემპიონატში წარუმატებლად თამაშობს და მხოლოდ მე-13 ადგილზეა“.

რივალდოს სენსაციური განცხადება: „ბარსელონას“ ლუი ვან გაალი უნდა ჩამოშორდეს!

„ბენდელას თასის“ გათამაშების წინ დიდი აჟიოტაჟია

ბენდელას თასი

„ბენდელას თასი“ ტრადიციულად თამაშდება. წლეულს ფეხბურთელთა გუნდები მეთერთმეტედ იბრძოლებენ მთავარი პრიზისათვის. თამაშები ზეგ დაიწყება და დასრულდება 28 დეკემბერს. მონაწილეობენ: თბილისის „დინამო“, „ლოკომოტივი“, „გორდა“.

განზრახულია ლეგიონერთა ცალკე გუნდად ასპარეზობა. ცხადია, იქნება სხვა გუნდებიც. ცალკე ჩატარდება ბავშვთა ტურნირი. კენჭისყრა გაიმართება „კუს ტბაზე“ მდებარე რესტორან „უიქენდში“.

სპონსორები არიან: „მთავარი გაზეთი სპორტი“, „მობილ-1“, „კუს ტბა 21-ე საუკუნე“, ეროვნული ზარაფხანა კომპანია „უაზბეგი“...

„რეალის“ 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი...

მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბის — მადრიდის „რეალის“ დაარსების ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით, ოთხშაბათს, გვიან ღამით გაიმართა ამხანაგური მატჩი ესპანეთის სამეფო გუნდსა და მსოფლიო ნაკრებს შორის. როგორც ცნობილია, ასეთი რანგის შეხვედრები (მით უმეტეს — საიუბილეო) უფრო შოუს წააგავს და საყაიმო ანგარიშით სრულდება-ხოლმე. არც აღნიშნული თამაში იყო გამონაკლისი. მაყურებლებმა მოედანზე იხილეს მსოფლიო კლასის ვარსკვლავები: ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ, რაული, რონალდო, კაფუ, ლიზარაზუ, მალდინი, რობერტო ბაჯო, რივალდო და სხვები.

ანგარიში კლოზემ გახსნა 29-ე წუთზე. ტაიმის მიწურულს კაკამ თითქმის ნახევარი „რეალი“ მოატყუა და უკვე ორი ბურთით დააწინაურა მსოფლიოს ნაკრები.

მეორე ტაიმის დასაწყისში სისემ უკვე 3-0 გახადა და ამის შემდეგ „რეალის“ დროც დადგა. სოლარიმ, ტოტემ და კამბიასომ სამჯერ აიღეს მსოფლიო ნაკრების კარი და მატჩიც ფრედ — 3-3 დასრულდა.

გაგაცნობთ გუნდების შემადგენლობებს.

რეალი: კასილიასი (სესარი, კარლოს სანჩესი), მინიამბრესი (ოლალია), პაკონი (რუბენი), ელგერა (ბორხა), რაულ ბრავო, კონსეისაო, (სელადესი), გუტი (სოლარი), ფიგუ (მაკმანამანი), ზიდანი (ტოტე), რაული (მორიენტესი, კამბიასო), რონალდო (პორტილიო).

მსოფლიო ნაკრები: კაბალერო (ბისარი), კაფუ (ჩა დუ რი), ლიზარაზუ (ეტოო), მალდინი (სისე), მარკესი (ნაიბეტი), ბალაკი (ხოაკინი), ბარახა (იაკინი), ნაკატა (ალესანდრო), ბაჯო (კაკა, ტორესი), კლოზე (მაკაი, მიატოვიჩი), რივალდო (ვილმოტსი).

რეალი - მსოფლიო ნაკრები

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელგანთქმული და პოპულარული მსახიობი და სპორტული კომენტატორი, საქართველოსა და სსრ კავშირის სახალხო არტისტი

კოტე მახარაძე

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს, მთელს ჩვენს საზოგადოებრიობას.

გუშინვე კოტე მახარაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამძიმარი გამოთქვა რუსეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ვიაჩესლავ ფეტისოვმა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი უღრმესი მწუხარებით იუწყება, რომ უკურნებელი სენით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული სპორტის ღვაწლმოსილი ვეტერანი მუშაკი, ქ. ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენოსანი

ოთარ ხომერიკი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. ფოთის მთავრობა, საკრებულო და ქალაქის საზოგადოებრიობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 65 წლის ასაკში გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ფოთის თვალსაჩინო მოქალაქე

ოთარ ხომერიკი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ATHENS 2004

CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 8 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 2 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

ოტობაიას ფეხბურთელთა გუნდი „ზღვაური“ და მწვრთნელი თენგიზ კვარაცხელია

ბავშვთა ფეხბურთი

გალში ქართულ ფეხბურთს თამაშობენ

1990 წელს, ეროვნული ჩემპიონატი რომ დაიწყო, უმაღლეს ლიგაში აფხაზეთიდან სამი გუნდი მონაწილეობდა. სოხუმის „ცხუმი“, ოჩამჩირის „ამირანი“ და გალის „მზიური“. იმ პერიოდში ვეტერანმა ფეხბურთელმა, გალის რაიონის სოფელ ოტობაიას მკვიდრმა თენგიზ კვარაცხელიამ საკუთარი სოფლის გუნდი ჩამოაყალიბა და რეგიონულ პირველობებზე პირველი ადგილიც დაიკავა, მაგრამ, ომი დაიწყო და ფეხბურთისთვის ვილას ეცალა...

თენგიზ კვარაცხელიამ მაინც ვერ მოისვენა და წლეულს, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თავის სოფელში ისევ შეკრიბა გუნდი, — ამჯერად ბავშვებისა. თენგიზის გუნდში რომელსაც „ზღვაური“ ჰქვია, ოტობაიელთა გარდა თამაშობენ სოფლების, ფიჩორის და გაგიდას სკოლის მოწაფეებიც. სულ — 28 ბავშვი. ქართველთა მდგომარეობა ოკუპირებულ აფხაზეთში, კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ თენგიზ კვარაცხელიას შეგირდები მონდომებით ვარჯიშობენ. სამივე სოფელში ფუნქციონირებს ქართული სკოლა, ფიჩორში და გაგიდაში 200-200 ბავშვი სწავლობს, ოტობაიაში — 300-მდე, ამათი ერთადერთი სიხარული ფეხბურთია და თამაშობენ პატარებიც, ამ კეთილშობილურ საქმეში თენგიზ კვარაცხელიას გვერდში უდგას ფიჩორელი გელა სიჭინავა.

საქართველოში ფეხბურთს ძალიან უჭირს და აფხაზეთში რაღა იქნება? ოტობაიელ პატარებსაც აკლიათ ბურთები და ფორმა, მაგრამ ამ ქვეყანაში, კორუფციამ რომ წალეკა, მოიცლის მათთვის ვინმე? და მაინც, აღმოჩნდნენ კეთილი ადამიანები, რომლებიც გალელ ყმაწვილებს ეხმარებიან. „ირაოს“ საფეხბურთო სკოლის დირექტორმა ზაზა დიდებაშვილმა აფხაზური გუნდი უფასოდ მიიღო საფეხბურთო ტურნირზე, რომელიც კვირას დაიწყება.

მოდით ერთად ვუქომაგოთ პატარა ქართველებს აფხაზეთიდან!

მამუკა კვარაცხელია

სფფ-ს პრეს-ატაშე

მეცნიერებაშიც მწვერვალთა დამპყრობი

საუცხოო მეცნიერსა და შესანიშნავ მთამსვლელს, კავკასიონის, პამირისა და ტიან-შანის მთიანეთში განხორციელებული ურთულესი ასვლების მონაწილეს, ჩართოლანთა დიდი გვარის ღირსეულ წარმომადგენელს, შოთა ჩართოლანს 70 წელი შეუსრულდა.

ბევრი თქმულა და დაწერილა ამ დიდებული პიროვნების მეცნიერულ და სპორტულ მოღვაწეობაზე, არაერთი მეცნიერული მწვერვალი დაუპყრია, როგორც საქართველოს მეცნიერთა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის სექტორის გამგეს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს. საყოველთაოდ ცნობილია მისი არქეოლოგიური აღმოჩენები სვანეთსა და მთელ დასავლეთ საქართველოში; ამიტომაც ამ თემაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. არც მის სპორტულ მიღწევებს შევეხები ვრცლად და ვიტყვი მხოლოდ, რაც შესაძლოა ყველამ არ იცოდეს: 1958 წელს საქართველოს ნაკრები მზად იყო მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის — ევერესტის დასალაშქრად და ამ გუნდის ერთ-ერთი ღირსეული წევრი ბატონი შოთა გახლდათ. სამწუხაროდ, ექსპედიცია არ შედგა.

აქვე მინდა გავიხსენო წლევანდელი ბოლო შეხვედრა ბატონ შოთასთან. სექტემბერში თბილისიდან მესტიაში სტუმრად მიწვეულ ჯგუფში ვმონაწილეობდი, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა თაობისა და პროფესიის თვალსაჩინო წარმომადგენლებისაგან. მთავარი მასპინძლობა, ასე ვთქვათ, სულიერ სფეროში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბატონმა შოთამ ითავა. დეტალურად დაგვათვალიერებინა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ექსპონატები, რომელიც თავმოყრილია მესტიაში, სვანეთის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. ცენტრს კი, ცხადია, ბატონი შოთა უდგას სათავეში. არავის გაგვკვირვებია ამ ჭარმაგი მეცნიერის განსწავლულობა და ფენომენალური მეხსიერება საქართველოს ისტორიის კონკრეტულ საკითხებში. მაგრამ ნამდვილად აღტაცებას იწვევდა ის დიდი და წრფელი სიყვარული, რომელიც იგრძნობოდა მის მიერ წარმოთქმულ ყოველ სიტყვაში თავისი მშობლიური კუთხისა და სრულიად საქართველოს მიმართ. მთელი გულისყურით ვუსმენდი სპორტული აღნაგობისა და ახალგაზრდული შემართების მხნე ვაჟკაცს და ჩემი სამშობლოს სიძლიერის რწმენა და გადარჩენის იმედი მეუფლებოდა. შეუძლებელია გასაჭირი ვერ დაძლიოს ერმა, რომლის ახალგაზრდა თაობას ისეთი შესანიშნავი მისაბაძი პიროვნება ჰყავს, როგორიც ბატონი შოთა ჩართოლანია — მაგალითი იმისა, თუ რა დიდ სპორტულ და სამეცნიერო წარმატებებს შეიძლება მიაღწიოს ადამიანმა.

ბატონო შოთა! გისურვებთ კვლავაც თქვენთვის ჩვეული შემართებით გევლოთ მრავალ, მრავალ წელიწადს ჩვენი სამშობლოსა და მისი ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ. ბარაქალა, თქვენ, ბატონო შოთა!

საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის სახელით

ბიძი ქართველიშვილი

„ბონიერსა მწვრთნელი უყვარს“

ჩემპიონების აღმზრდელი იუბილარია

ქიორელი (ონის რაიონი) ჯონი რეხვიაშვილი გერმანიაში ჯარში სამსახურის დროს ეზიარა ჭიდაობას. იყო საქართველოს ორგზის, „სპარტაკისა“ და „უროჟაის“ საკავშირო პირველობების ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

30 წელია დედაქალაქში ჯერ „სპარტაკში“, შემდეგ პროფკავშირებში, ამჟამად კი საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი მწვრთნელია.

ჯონი რეხვიაშვილმა თავისი სიტყვა უკვე თქვა დიდ სპორტში. შემთხვევით და ჰაიჰარად არაფერი ხდება. ეს სიტყვაძუნწი და საქმიანი კაცი მართლაც შესანიშნავი მწვრთნელია. ხუმრობა საქმე არაა მსოფლიოს ორი ჩემპიონის აღზრდა.

პირველი იყო სართიჭალელი ქვემძიმე წონის მოჭიდავე გურამ გედეხაური, რომელიც 1987 წელს გახდა პლანეტაზე უძლიერესი. 14 წელი დასჭირდა, რომ „ბერძნულ-რომაულში“ ახალი მსოფლიო ჩემპიონი წარმოეჩინა საქართველოში, 2001 წელს საბერძნეთში მსოფლიოს 46-ე ჩემპიონატში კვლავ ჯონი რეხვიაშვილის მოწაფე მუხრან ვახტანგაძე (85 კგ) გახდა უძლიერესი.

ამ ორი რჩეულის გარდა, ჯონის აღზრდილია მსოფლიოს თასის მფლობელი ზაურ ივანიშვილი, მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი თენგიზ თედორაძე, ევროპის პრიზიორი ხვიჩა ბიჩინაშვილი, ევროპის ჩემპიონი ალექსანდრე (დიმიტრი) დოხტურიშვილი, მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი მანუჩარ კვირკველია, სტუდენტთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გენადი ჩხაიძე, სხვადასხვა საკავშირო პირველობებში გამარჯვებული დავით ქარსელაძე, ძმები დავით და ვახტანგ ჯავახიშვილები...

სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჯონი რეხვიაშვილი ბედნიერია თავისი მოწაფეების დიდი წარმატებებით. ნიშანდობლივია, რომ აღმზრდელის ამაგს ღირსეულად აფასებენ აღსაზრდელებიც. დარწმუნებული ვართ, ალღოიანი მწვრთნელი კიდევ გამოზრდის საქართველოს საჭიდაო ტრადიციების საკადრის ჩემპიონებს.

ბესიკ ბაბროშვილი

ახალგზედების საახალწლო ტურნირი

„შევარდენის“ ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის ღია საახალწლო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1988-90 წ.წ. და 1991-94 წლებში დაბადებულ ახალბედა მოჭიდავეთა შორის.

მონაწილეობდა გორის, საგარეჯოს, გამარჯვების, ქარელის, ხონის, დმანისის, კაზრეთის, ლ. თედიაშვილის სკოლის, „მართვეს“, „ლოკომოტივის“, „დინამოს“, ლ. ხაბელოვის სპორტსკოლის ოლიმპიური რეზერვი. სპორტსკოლების 300-მდე წარმომადგენელი.

32 კგ: 1. სერგო ბათმანაშვილი (გორი), 2. ნიკა გრძელიშვილი (ლოკომოტივი), 3. დათო ბერძენიშვილი (გორი); **38 კგ**: 1. მიხეილ გოგელია (ლოკ), 2. ბაქარ მჭედლიძე (გორი), 3. ვახტანგ ბალავაძე (ხონი); **42 კგ**: 1. გიორგი კელოშვილი (გორი), 2. ბიბო კოტორაშვილი, 3. ლევან მესხი (ორივე - თედ. კლ); **46 კგ**: 1. პაატა ხამხაძე (თედ. კლ), 2. ავთო ცუცქირიძე (მართვე), 3. მიხეილ მესხი (თედ. კლ); **50 კგ**: 1. ლერი ჩადუნელი (კასპი), 2. ედგარ ღვინაძე (გორი), 3. გიგა ბზარაშვილი (ლ. ხაბ. სკ); **54 კგ**: 1. ოთარ რამაზაშვილი (გორი), 2. გიორგი ქარსიძე (ავჭალა), 3. შალვა წიკლაური (თედ. კლ); **58 კგ**: 1. ლევან ტეტუნაშვილი (გორი), 2. ხაბიმ ასადოვი (თედ. კლ), 3. დათო ვალიშვილი (ქარელი); **63 კგ**: 1. ვევესვია გოჩიტაშვილი (საგარ), 2. კობა გვირჯიშვილი (გამარჯვება), 3. მიხეილ ლეკბორაშვილი (თედ. კლ); **69 კგ**: 1. დათო ელყანიშვილი (თედ. კლ), 2. კობა ქოიავა (ლოკ), 3. ირაკლი ჯაავა (ორს); **80 კგ**: 1. ლევან გაბეცაძე (გორი), 2. ლ. ქართველიშვილი (საგარ), 3. ი. ნადირაძე (დინამო). + **80 კგ**: 1. შ. ჯანეზაშვილი (ლ. ხაბ. სკ), 2. მ. ოქროცვარიძე (საგარ). 1991-94 წ.წ. დაბადებულები. 117 მონაწილე: **23 კგ**: 1. ბექა ბუჯიაშვილი (გორი), 2. თორნიკე ასრათაშვილი (საგარ), 3. ხვთისო იორამაშვილი (გორი); **26 კგ**: 1. გიორგი ქენქაძე (გორი), 2. გიორგი მელაძე (კასპი), 3. ვანო ნათენაძე (გამარ); **29 კგ**: 1. შავლეგ ქარსელაძე (საგარ), 2. ბადრი გოგრიჭიანი (შევარდ), 3. შავლეგ მარტიაშვილი (კაზრ); **32 კგ**: 1. გიორგი ჯიქური (ავჭალა), 2. გიორგი კოპაძე (გორი), 3. ლევან წიკლაური (ავჭალა); **35 კგ**: 1. თენგიზ ჩოჩიშვილი (გორი), 2. საბა თევზაძე, 3. ლაშა ბუნტური (ორივე — კასპი); **38 კგ**: 1. ბექა ხერგიანი (ლოკ), 2. ლევან გოგრიჭიანი, 3. სოლომონ ლალიაშვილი (ორივე — შევარდ); **42 კგ**: 1. დათო გალეგაშვილი (გორი), 2. თემურ ტაბიძე (ხონი), 3. დათო ყაუხანიშვილი (კაზრ), **46 კგ**: 1. გიორგი ამირეჯიბი, 2. შოთა ინასარიძე (ორივე — გამარჯ), 3. გელა ყაულიაშვილი (თედ. კლ); **50 კგ**: 1. თემურ ახალაია, 2. ამირან მელაშვილი (ორივე — დინ), 3. ილია ქართველიშვილი (მართვე); **58 კგ**: 1. ბექა კუტაბიძე (დინ), 2. ილია ბიწაძე (თედ კლ), 3. ნუკრი ნადირაძე (გამარჯვ); **65 კგ**: 1. გიორგი საკანდელიძე (მართვე), 2. მანუჩარ მაისურაძე (შევარდ), **+65 კგ**: 1. მიხეილ აბრამიშვილი (თედ. კლ), 2. ზურაბ ხარებავა (დინ).

როგორც ადრე ვწერდით, წარსულში მრავალ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დავით ქარსელაძემ გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში მოჭიდავეთა კლუბი გახსნა და ათობით მოზარდი ჩაება სპორტულ სექციაში ცნობილ მწვრთნელ ნუგზარ გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით.

გამარჯვებულმა ბავშვებმა არაერთი გამარჯვებით უკვე თავიც გამოიჩინეს სხვადასხვა შეჯიბრებებში. ამ დღეებში თავისუფალ ჭიდაობაში რაიონის ღია პირველობაში 1987-89 წლებში დაბადებულთათვის დ. ქარსელაძის სახელობის კლუბიდან პირველობა მოიპოვეს ვანო ნათენაძემ, მირზა ინასარიძემ, თემურ ხუციშვილმა, ლაშა გოგრიჭიანმა, მეორე პრიზიორები გახდნენ: შენგელი შენგელიძე, ბესო ზედგინიძე, გიორგი ამირეჯიბი, ჯიმი ჭანტურიძე, ვახო გავაშელი, ალექს ჯაჭვაძე, დეგი ზურაბიანი; მესამე ადგილზე გავიდნენ: გოჩა ინასარიძე, გიორგი ჯაჭვაძე, ნოდარ ოჩიაური და თორნიკე ხიდაშელი.

ფოტოები რობერტ ბაგრატიონისა

სპორტის ზამთრის ოლიმპიური სახეობები

დავიბრუნებთ თუ არა ციგაობას?

წლეულს, აგვისტოში, ბაკურიანიდან ახალთახალმა, პატარა მიკროავტობუსმა გეზი გერმანიისკენ აიღო. საქართველოს 7 მოციგავე 20 დღით გორგოლაჭებიანი ციგებით პლასტმასის ტრასაზე შეკრებასა და საზაფხულო საწვრთნელ მოსამზადებელ ვარჯიშზე გაემგზავრა. ქართველი მოციგავეების გასვლა უცხოეთში უზრუნველყო საერთაშორისო საციგაო სპორტის ფედერაციამ. თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს, ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს საციგაო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტთან, საქართველოს მოციგავეთა უფროს მწვრთნელთან, სსრ კავშირის ჩემპიონთან, სპორტის ოსტატ ფელიქს ქუმარიტაშვილთან.

● ***ბატონო ფელიქს! თქვენ საქართველოს ნაკრებში (1985-1990 წ.წ.) მუშაობდით, ხუთი წელი კი საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი იყავით (1995-2000 წ.წ.). ახლა ისევ სამშობლოში ხართ...***

— ქართველმა მოციგავეებმა საბჭოთა კავშირში თქვეს თავიანთი სიტყვა, მალე კი მის ფარგლებს გარეთაც გავიდნენ. კახა ვახტანგიშვილისა და ლევან თიბილოვის წყვილთა გამოსვლები წარმატებით მიმდინარეობდა, რაც ჯერ კიდევ ახსოვთ უცხოეთში. ტრადიცია ნამდვილად გვქონდა, მას გაგრძელება უნდა და არა ნოსტალგიით ცხოვრება... საციგაო სპორტი ჩვენთან ფაქტიურად 1991 წლიდან ჩაკვდა, თუ არ ჩავთვლით, რომ საქართველოს ორი სპორტსმენი (ვახტანგიშვილი — თიბილოვი) 11 წლის მანძილზე 2-3 შეჯიბრებაში მონაწილეობდა. საფრანგეთში მუშაობის პერიოდში ფრანგებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, სხვადასხვა წლებში მსოფლიო თასების მფლობელები გახდნენ იოჰან რუსო, იან ფრიშტო, ვილფრიდ შალვა. საფრანგეთში მუშაობამ მომცა შანსი მეტი მეგობარი შემეძინა სპორტის ამ სახეობაში, გავცნობოდი უცხოელ კოლეგებს, მომეთხრო და გამეცნო მათთვის ჩემი პატარა ქვეყნის სპორტული ისტორია. დავუმეგობრდი ეროვნულ ფედერაციებს... 1998 წელს კი შევქმენით საქართველოს საციგაო სპორტის ფედერაცია, რომელიც იმავე წელს გაწევრიანდა საერთაშორისო ფედერაციაში. ბაკურიანში ჩამოვიყვანე საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელი, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი გინტერ ლემერელი.

ფელიქს ქუმარიტაშვილი (მარცხნივ) და ვასილ მიქაბერიძე

უსახსრობის გამო თითქმის წლების მანძილზე უმოქმედოდ ვიყავით, არსაიდან არავითარი დახმარება არ გვქონდა.

● ***2000 წელს თქვენ ბაკურიანში დაბრუნდით, საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ვასიკო მიქაბერიძესთან ერთად რამდენიმე ბავშვი აიყვანეთ სავარჯიშოდ.***

— საფრანგეთიდან ჩემი ნებით ჩამოვედი, გაზაფხულზე ვასიკო მიქაბერიძეს ვთხოვე დამხმარებოდა, ისიც ვუთხარი, რომ ხელფასზე ლაპარაკი არ იქნებოდა. ენთუზიაზმით ვიწყებდით მუშაობას. თავის საქმეზე შეყვარებულმა კაცმა უარი არ მითხრა, სიამოვნებით მიიღო ჩემი წინადადება... ახლა 14 ბავშვი ყოველდღიურად გადის ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას. პერსპექტიულ სპორტსმენებს საქართველოს ნაკრებში ჩავრიცხავთ, სამომავლოდ ქართველი ბიზნესმენების იმედი გვაქვს, ისევე როგორც სამთო-მოთხილამურეებს ჰყავთ დიდი ქველმოქმედი ბატონი გოგი თოფაძე.

ივლისში კონგრესზე ვიყავი მიპატიჟებული ავსტრიაში. ჩასვლის მიზანი ის იყო, რომ კოლეგებისათვის გამეცნო ჩვენი პირობები და მეთხოვა დახმარება, მათ მომისმინეს (ფელიქსს თარჯიმანი არ სჭირდება, თვითონ ფლობს უცხო ენებს) და დახმარების ხელი გამოგვიწოდეს, გამოგვიყვეს მიკროავტობუსი, თავადვე ითავეს 20-დღიანი შეკრება გერმანიაში.

● ***ვინ არიან ის ბავშვები, რომლებიც გერმანიაში გყავდათ?***

— მურად რობაქიძე, გიორგი კილაძე, გიორგი ჯეირანაშვილი, ნოდარ ქუმარიტაშვილი, გიორგი ჩუბკო, გიორგი ხაჩატურიანი და ალეკო ვასილცევი. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გერმანიის საელჩოსა და საკონსულოს, ბორჯომის საპასპორტო მაგიდის (ლ. არჩემაშვილი) და ახალციხის რეგიონალურ საპასპორტო განყოფილების (თ. გელაშვილს) უფროსებს, რომლებმაც პრაქტიკულად უპრობლემოდ გაგვიკეთეს ვიზები და პასპორტები უცხოეთში გასამგზავრებლად.

ელმინაუს ზაფხულის საციგაო ტრასა საერთაშორისო შეჯიბრებებს მასპინძლობდა სხვადასხვა ასაკში, სადაც 7 ქვეყნის (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, ბოსნია, ჩეხეთი, სლოვენია, ბულგარეთი) წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მერვე ქვეყნად კოლეგების თხოვნით, ჩვენც ჩავებით. 14 წლამდე ასაკის ბავშვები გიორგი კილაძე მეოთხე იყო, ხოლო ნოდარ ქუმარიტაშვილი — მეექვსე. ეს ჩვენი ბავშვების პირველი ნათლობაც იყო და ფსიქოლოგიური გამარჯვებაც.

ციგები ჩასვლისთანავე მასპინძლებმა სავარჯიშოდ გამოგვიყვეს, ცოტაოდენი თეორია ბავშვებმა იცოდნენ, დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით.

სამი საზაფხულო ციგა იქიდან გამოგვატანეს (ერთი ჩვენ გვქონდა), ამჟამად 4 ციგა გვაქვს, გერმანელებმა იქვე ქარხანაში ჩვენთვის საჩუქრად, ყინულიანი ტრასის 4 ციგა შეუკვეთეს, მაგრამ რომ მოვდიოდით, ჯერ მზად არ იყო. შემოგვთავაზეს მსოფლიო თასების თამაშებში დაგვეწყო გამოსვლები.

● ***და თქვენ არ დათანხმდით?***

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენი ბავშვები ჯერ 10-14 წლისანი არიან. სჯობია ჯერ მოხერხდეს ყინულოვან ტრასაზე შეკრების ჩატარება, მომავალ წელს კი ამაზე ფიქრი შეიძლება.

ჩვენი მიზანია ჩამოვაყალიბოთ გუნდი, რომელსაც მოვამზადებთ ზამთრის მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის. წინასწარ შემიძლია ისიც ვთქვა, რომ ჩვენი დიდი მიზანი ოლიმპიადაში არა მარტო მონაწილეობაა, არამედ შედეგიც.

საციგაო და ბობსლეის ტრასა ერთი და იგივეა, მსოფლიოში სულ 15 ხელოვნური გაყინვის ტრასაა, რომლებსაც უზარმაზარი შემოსავალი მოაქვთ. მაგალითად, ალბერვილის ოლიმპიურ ტრასაზე 4-ადგილიანი ბობით დაშვებაში ტურისტი 40 დოლარს იხდის, მსურველი კი ზღვა ხალხია ზამთარსა და ზაფხულში. არის დღე, როცა დაახლოებით 10-12 ათასი დოლარი შემოდის საციგაო ტრასიდან. ეს კი დიდი ბიზნესია. კარგად მოგეხსენებათ, ბაკურიანი სპორტისა და ტურიზმის უნიკალური ადგილია საქართველოში.

ხელოვნური გაყინვის სტანდარტული ბობსლეის ტრასის აშენება დაახლოებით 30 მილიონი დოლარი ჯდება, არახელოვნური გაყინვისა კი - 3 მილიონი. სულ პატარა სავარჯიშო საციგაო ტრასის მოწყობას კი 300 ათასი დოლარი სჭირდება, რომელიც ჩვენს პირობებს უთუოდ დააკმაყოფილებს.

p.s. ბაკურიანში თანდათან შემოდიან დიდი თუ პატარა ბიზნესმენები. ყიდულობენ მიწებს, შენობებს, ანგრევენ და ახალს აშენებენ... ჭორის დონეზე ისიც ბევრჯერ გაგვიგონია, რომ ზოგიერთები კითხულობენ, გვითხარით, სად ჩავდოთ ფული, რა გავაკეთოთ ბაკურიანშიო... თუ მართლაც ეს ასეა და არა ჭორი, ამას რა სჯობია, გვეშველა და ეგ არის! გავკადნიერდებით და ვიტყვით — ხელი გაუწოდეთ ქართველ მოციგავეებს, დაეხმარეთ საკუთარი მატერიალური ბაზის მშენებლობაში, და მოგების იმედიც იქონიეთ, სპორტი ხომ ბიზნესიცაა.

სოფიო ხეთაგაშვილი.

არდავიწყება კაცისა და ღვაწლისა

თელავური გამოძახილი

70-იანი წლების დასაწყისში თელავს მისიონერივით მოევლინა თამაზ (ფარჩო) ანთაძე. მოევლინა, როგორც ჩვეულებრივი და წავიდა როგორც არაჩვეულებრივი.

მოევლინა, როგორც მშენებელი, მაგრამ სპორტში მოპოვებული სახელიანი კაცი. ჰოდა, საქმეს და სახელს ვერ გატეხდა და დღე გატეხა ორად — დილით მშენებელი, საღამოს — მწვრთნელი. შემოიკრიბა თელაველი ბიჭები და...

ეს მრავალმხრივი კაცი, ხელბურთელი და მშენებელი, მოთხილამურე და მხატვარი, ჩოგბურთელი და ნოველისტი, მეთევზე და მყვინთავი, პირშიმთქმელი და კომპლიქტური, 35-ში დაბადებული და 37-ში მამით რეპრესირებული, მრავალ ენაზე მოსაუბრე და ამდენივეზე მსმენელი, უბოროტო და მტრიანი, გამოუსწორებელი ოპტიმისტი და ინიციატივიანი, სატირისტი და იუმორისტი, თბილისელი და თელაველი, სიახლისა და სენსაციის მაძიებელი, ლიდერად დაბადებული და თითქმის რეალიზებული... და მაინც აუთვისებელი და სიცოცხლენაკლული.

შემოიკრიბა თელაველი ბიჭები და უბრალოდ, წინ წაწევა კი არა, სამიზნედ თბილისი გაიხადა. მიზანსაც მოარტყა. სენსაცია იყო ხელბურთში მუდმივი ჩემპიონის დამარცხება. ეს მხოლოდ მან შეძლო — პროვინციელთა ეგზომ აღზევება.

რა გააჩერებდა, თელავში სათხილამურო სპორტის დანერგვა მოინდომა, ბაკურიანში „კანატკა“ გააჩალიჩა, ცივის მთაზე ცხრაას მეტრზე გაჭიმა, დაქოქა, მაგრამ ბედი არ გინდა? იმ წელს კახეთში თოვლი არ მოვიდა. ინიციატივა უტოპიად ჩაუთვალეს, „კანატკა“ წაართვეს და გული დაწყვიტეს.

ოსტატ ბენდერის ვარიანტიც მოიგონა. ჭადრაკი ვასიუკში? მაშინ ჩოგბურთი თელავში და მაშინდელი რაიონის თავკაცთან ერთად უმშვენიერესი კორტებიც მოაწყო, თანაც ნაღდი სეანსებით, სიახლე არ იყო?

კახეთში „მარტო ჭიდაობის“ მითს აქარწყლებს და თელავში სპორტთამაშების სპეციალიზებულ სკოლას აარსებს. დაკონსერვებული შენობის დამთავრებაში ერთვება, დაკიდულ ჭერზე 50 ნასვრეტს აკეთებს და ვარსკვლავებს აწყობს, კედლებს გარდამავალ ლურჯ ფერებში ხატავს და დასავლურ ორიენტაციას ამ ჟესტით ამჟღავნებს — ძალიან ცოტა თუ ხვდება ამერიკის დროშის ვარიანტს კომუნისტურ ხანაში.

გზამკვლევი იყო ეს უკომპლიქტო კაცი. მოურიდებლად აღებდა დიდ ჩინოვნიკთა კარებს, სპორტს ეს სჭირდებაო — უარს ვინ ეტყოდა. ვინაა ეს კაცი, უკვირდათ თელაველებს, „კანატკის“ მაზუთში ამოვლებული რომ გადაეხვია ქუჩის ბიჭივით ცეკას მდივან ანდრონიკაშვილს და ერთიც ასეთი:

თელავს ცეკას მდივანი, ცხონებული ხაბეიშვილი სტუმრობს. ალბათ სტუმარს ცოტა ჭაშნიკსაც გაასინჯებდნენ და შუა ზამთარს შუამთაში გაასეირნეს. ხაბეიშვილი თოვლს აგუნდავებს და რაიკომის მდივან კობაიძეს ესვრის. კობაიძეც თავის მხრივ გუნდას ამზადებს და ვის ესროლოს... ხაბეიშვილი ერთობ დიდი დისტანციაა თანამდებობრივად, ალმასკომის პოზიციური თავმჯდომარე შორს დგას — „ტყვია“ გაცივდება. და გამოსავალს მაინც პოულობს — ფარჩო ანთაძე. ინტელიგენტურად ნასროლი გუნდა მიზანს სცდება, ფარჩო სამმეტრიან ნახტომს აკეთებს, ჰაერში ქუდის მოხდასაც ასწრებს და გუნდას თავში ირტყამს. თან დაცემამდე ამის თქმასაც ახერხებს — „ისიამოვნე, უფროსო!“ სტუმარი სიცილისაგან ბჟირდება, „უფროსი“ სიამოვნებისაგან, ალმასკომის შეფი გაოცებისაგან — ვინაა ეს კაცი“. მეორე დღეს ნასიამოვნებ „უფროსს“ კაბინეტში ასეთი შინაარსის განცხადება ხვდება: „გთხოვთ, მომცეთ ავტომანქანა „ნივა“ თავის ფასში . თ. ანთაძე.“ — დიდ იუმორს იტევდა რთულ დროს დაყმაწვილებული და ბევრ ინტრიგას გადაყრილი კაცი.

გარკვეული პერიოდი თბილის — თელავის ტრასას იყო გამოკიდებული და ჰაერში გაფრენილებს იჭერდა — მრავალ სიკეთესთან ერთად ალღოიანი სელექციონერიც იყო. ქიზიყის ერთ-ერთ სოფელში გვაგზავნის — საკალათბურთო „მასალა“ შეეგულებინა. ორი შავტუხა ბიჭი უნდა იყოსო იქ. დიპლომატიის ხუთწლიანი სემინარიც ჩაგვიტარა: თქვენ მშობლებს ეტყვით ასე, ისინი გეტყვიან ისე, თქვენ იტყვით იმას, ისინი — ამას და. ბავშვებს აქ მოგვრითო. მასე რომ არ თქვანმეთქი — შევეპასუხე, აზრი არ ჰქონდა, სათვალის ზემოდან მკაცრად გადმოიხედა. შენობიდან გასული უკან მოვბრუნდი და შორიდან დავუძახე — „ევსტაფიჩ“! (ესტატეს ძე იყო, მაგრამ ასე მივმართავდით) მშობლებმა უარი რომ თქვან — მეთქი. კაბინეტიდან გრგვინვა გაისმოდა და მე გასწრებასლა ვფიქრობდი. მშობლებთან დიალოგი „დრამატურგის“ სცენარით წარიმართა — ორი დინოზავრი მოგვყავდა. შავგრემანნი რომ იქნებოდნენ, ფაქტია, შვედეთში არ ვიმყოფებოდით, მაგრამ ერთი მათგანი გვარად ტუხაშვილი იყო, შავტუხაო, აქაც მოარტყა.

მეზობელ რაიონში ერთი ყმაწვილი შევნიშნეო, თანაკლასელებზე ნახევარი მეტრით მაღალი. იქნებ კლასელები არ იყვნენ-მეთქი — მეზარებოდა პაპანაქება სიცხეში ტანტალი. მასე არააო საქმე, სკოლაში შემთხვევით დაჯგუფებულები მიდიან და უკან კლასელები ბრუნდებიანო ერთად. ისე აგიხდეთ ყველაფერი, რომ მართლაც ასე იყო. ოღონდ, ამ ვიზიტმა კი არ გაამართლა. მამამისმა გარანტიები ითხოვა, ანთაძემ ინსტიტუტი და „ბურევესტნიკი“ „მიართვა“, შამქნელის მადა კი გადაჭარბებული აღმოჩნდა — სსრკ ნაკრები! კახელები ერის განსაზღვრების კონტექსტიდან ამოვარდნილები ხართო — დაასკვნა დიდოსტატმა.

ასე დარბოდა და დაგვარბენინებდა სოფელ-სოფელ, ვაფიქსირებდით ხელის მტევნებს და ფეხის ზომას, ბიჭები კი ეჯიქებოდნენ დიდ ცენტრებს, სწორი — სწორზე.

ჩარჩოში ვერ ეტეოდა და ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში მაგელანივით ილტვის კუვეიტისკენ. კონკურენცია დიდია და მოსკოველ ავტორიტეტებთან უწევს ბრძოლა. მისი სამოქმედო სქემა კი ძალიან დიდი კაცის რეფერენტზე გადის, ფართო კონკურსს იგებს და თავის სიეშმაკეზე ილიმის. იქ კი კუვეიტელ შეიხებს ჩაეხუტა და ბევრი ქართველიც ახეირა. ქართველებმა მადლობა არ უთხრეს და კიდევ ერთხელ დასწყვიტეს გული.

თბილისში მიბრუნებულსა თუ კუვეიტში გადახვეწილს არ დავიწყებია თელავი, გზად შემოირბენდა სპორტსკოლაში, ნორჩებს ილეთებს აჩვენებდა, ცეცხლს დაანთებდა, „თავის“ შენობას თვალს შეავლებდა და კვლავ გარბოდა — მოძრაობა ილიას სიტყვებით ესმოდა ალბათ.

მას კახური ყველაფერი მოსწონდა, იწერდა ზედმეტ სახელებს, სხარტულა გამონათქვამებს, აქვეყნებდა და ახალისებდა ახლობლებსა და არაახლობლებს, და კიდევ: თელავში ჩამოსვლამდე, ბათუმში მთავარ მსაჯად მივლინებულ ანთაძეს ასეთი სურათი გადაეშალა. კახელთა გუნდი სამტრედიასთან 3:60 აგებს და მათი კაპიტანი ასე სარდლობს თამაშს — „აბა, დაადინჯე!“ იქნებ მაშინ გადაწყვიტა ფარჩომ ამ საოცარ „ქვეყანაში“ ჩამოსვლა.

ადამიანურია ალბათ საკუთარი აღიარების მოსმენა. ზოგი სისუსტედ თვლის, ზოგიც მოთხოვნილებად...

„ფარჩოს ბიჭები“ თელავში დაფრთიანდნენ და გაიშალნენ, ზოგნიც სპორტს შემორჩნენ და დაწინაურდნენ. სწორედ მათი იდეა იყო ფარჩოს ბენეფისი — ვეტერანთა ტურნირი, თბილისელებმა „ფარჩოობა — 2001“ — ად რომ მონათლეს. ასე აღტკინებული და გახარებული არავის ენახა — ბავშვივით ბუნება ჰქონდა. აკი ამიტომაც ამბობდნენ — სიცოცხლის ბოლომდე დიდ ბავშვად დარჩაო.

დიდი პიროვნება იყო სახელითა და სიცოცხლით დამსახურებული კაცი.

ნიკო ვაყელიშვილი

თელავი

აი, ამ კოხტა ავტობუსით იმოგზაურეს პატარა ბაკურიანელმა მოციგავეებმა გერმანიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



უეფა გვეხმარება და გვამოწმებს

უეფასა და სფფ-ს მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობის კიდევ ერთი დასტური დეკემბრის დაძაბული სამუშაო დღეებია. სფფ-ს, არც სტუმარი, არც საქმიანი კონტაქტები აკლია. კარგა ხანია მიმდინარეობს ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელთა მუდმივმოქმედი სემინარები. ფეხბურთის მუშაკთა ადმინისტრაციულ პროგრეს-კურსებს ექიმთა პროგრეს-კურსები ჩაენაცვლა. გუშინწინ, კლუბების ექიმებმა სემინარი დაასრულეს და მოგენს კროიცფელდისგან შესაბამისი სერთიფიკატებიც მიიღეს.

მთავარი კი ის არის, რომ, თითქმის ერთკვირიანი ვიზიტით საქართველოში იმყოფებიან უეფას წარმომადგენლები: აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს მენეჯერი, სფფ-ს კურატორი უეფაში ბრუნო ვოლფისბერგი (შვეიცარია) და უეფას ქუჩის ფეხბურთის ინსტრუქტორთა მომზადების ხელმძღვანელი ანდრეს ლევინსენი (დანია). სტუმართა ვიზიტი საკმაოდ მრავალმხრივია და ბევრ საკითხს მოიცავს. უეფას ჩინოსნებმა ოთხი დღის განმავლობაში ორჯერ მოინახულეს საქართველოს ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრი, გაეცნენ მშენებლობის პროცესს, მათ თან ახლდნენ სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი. სტუმრებმა სათანადოდ შეაფასეს პროექტი, მშენებლობის მიმდინარეობა, ბაზის აღჭურვის პროგრამა, დაესწრნენ პროგრეს-კურსების სემინარს, ეწვივნენ თბილისის ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს, გაეცნენ მათ სტრუქტურას, დღევანდელ მდგომარეობას. უეფას წარმომადგენლები იმყოფებოდნენ აგრეთვე თელავსა და ქუთაისში. სტუმართა განმარტებით, ისინი კარგად იცნობენ ჩვენს სოციალურ პრობლემებს, მათზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ტექნიკურმა ცენტრმა, რომლის მშენებლობის დამთავრებისთვის და აღჭურვისთვის უეფამ 25 ათასი ფრანკი გამოყო. სკოლების რაოდენობის გაზრდისთვის, მათი ხარისხის ამაღლების მიზნით გამოიყოფა შესაბამისი თანხები და საქართველოში დაახლოებით 15-მდე საფეხბურთო სკოლა ჩამოყალიბდება. ეზოს ფეხბურთში კი დასაქმდებიან ინსტრუქტორები და მწვრთნელები. სტუმრები საქართველოდან ხვალ გაემგზავრებიან.

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

მშენებარე ბაზა

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

ასეულის ბოლოში

ფიფამ წლეულს საბოლოო სანაკრებო რანგ-ლისტი გამოაქვეყნა. და წევრი ქვეყნების ეროვნულ ნაკრებებს შესაბამისი ადგილები მიუჩინა. ნაკრებთა სიის სათავეში, თითქმის მთელი წლიწადი მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიის ეროვნული გუნდი იყო. არც საუკეთესო ათეულია დიდად შეცვლილი: **1. ბრაზილია, 2. საფრანგეთი, 3. ესპანეთი, 4. გერმანია, 5. არგენტინა, 6. ჰოლანდია, 7. ინგლისი, 8. მექსიკა, 9. თურქეთი, 10. აშშ. ჩვენი ეროვნული ნაკრების მეტოქეებმა შესარჩევ ეტაპზე სეზონი, თანმიმდევრობით ასე დაასრულეს: ირლანდია — მე-14-ეა, რუსეთი — 23-ე, შვეიცარია — 44-ე, ალბანეთი — 93-ე.**

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა კი შარშანდელთან შედარებით პოზიციები დათმო და რეიტინგიც საგრძნობლად გაიუარესა. თუ 2001 წელს 58-ე ადგილზე ვიყავით, 2002 წელს 32 საფეხურით ჩამოვქვეითდით და წლეულს 90-ე ადგილი გვერგო.

მომავალი წლის პირველ სარეიტინგო რანგ-ლისტს ფიფა 16 იანვარს გამოაქვეყნებს.

გამოძიება

გენერატორი თუ ელექტრო სადენები

ვინ არის დამნაშავე ან რა არის მიზეზი „ლოკომოტივის" სტადიონზე დენის გამორთვისა საერთაშორისო მატჩის დროს? ეს საკითხი საზოგადოებრიობას საქართველო — რუსეთის ეროვნულ ნაკრებთა შეწყვეტილი მატჩის შემდეგ, 12 ოქტომბრიდან აწუხებს. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რომელსაც უშიშროების სამინისტრო იძიებს. სტადიონის ჩაბნელების მიზეზების უკეთ გასარკვევად, შექმნილი კომისიის პირველი სხდომა სამშაბათს გაიმართა. კომისიაში შედიან: „ეიეს თელასის", უშიშროების და იუსტიციის სამინისტროების და რკინიგზელთა სტადიონის დირექციის წარმომადგენლები.

კომისიის წევრებმა საქართველო-რუსეთის მატჩის ვიდეო ფირი საფუძვლიანად შეისწავლეს, ელექტრიკოსებმა საექსპერიმენტოდ ოთხივე პროჟექტორი ჩართეს, შეამოწმეს თურქების მიერ დამონტაჟებული „სიმენსის" ფირმის გენერატორი და ელექტროსადენების განაწილების სისტემა. სხდომაზე მოწვეული თურქული მხარე არ გამოცხადდა, მათ წერილობითი უარი შემოთვალეს, მაგრამ თანახმანი არიან მათ დაუსწრებლად გაირჩეს საქმე. პირველ შეკრებას კონკრეტული არაფერი მოჰყოლია. დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია, ექსპერტები მუშაობენ, გამოძიება მიმდინარეობს, გასარკვევი ჯერ ბევრია. კომისია მომავალშიც შეიკრიბება და მუშაობის პროცესში შუქის ჩაქრობის ნამდვილ მიზეზსაც, ალბათ, დაადგენს.

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მსახიობი და სპორტული კომენტატორი, საქართველოსა და სსრ კავშირის სახალხო არტისტი

კოტე მახარაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

* * *

გუშინ, სალამოს, კოტე მახარაძის გარდაცვალების გამო სფფ-მ სამძიმრის და თანაგრძნობის ფაქსი მიიღო ფეხბურთში რუსეთის ნაკრების უფროს მწვრთნელ ვალერი გაზაევისაგან

ქართული ფეხბურთის დიდოსტატები

რამდენიმე შტრიხი, ნებავთ ეპიზოდი, დიდი ფეხბურთელის ცხოვრებიდან!

ფეხბურთისათვის ეს ერთობ უჩვეულო ამბავი 1956 წლის საფეხბურთო სეზონში მოხდა თბილისის „დინამოს" სტადიონზე... მაყურებლით გადაჭედილი და ხმაურიანი ტრიბუნები წამით გაირინდა... ბურთი თბილისის „დინამოს" კარის ბადეში აღმოჩნდა... არა, თბილისის „დინამოს" მოწინააღმდეგეს, მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელებს არ გაუტანიათ, ერთ-ერთ მწვავე ეპიზოდში პირით ხაზთან ბურთის მოგერიების დროს იგი საკუთარ კარში ჩაჰქრა დინამოელთა დაცვის ბურჯმა მეორე ნომერმა. ასეთ შემთხვევაში, კარგად მოგეხსენებათ, თბილისელი მგრძნობიარე მაყურებელი ლანძღვა-გინების კორიანტელს დააყენებდა ლა სტვენით აიკლებდა იქაურობას... მაგრამ მოხდა პირიქით. ... მსაჯმა დინამოელთა კარის აღება დაადასტურა... თბილისელები ცენტრიდან იწყებენ თამაშს და აგებენ 0-1. მაყურებელს, როგორც იტყვიან, კრინტიც არ დაუძრავს, არც კანტიკუნტი სტვენა გაუგონია ვინმეს, ვინ გაბედავდა!.. იქვე ჩაქოლავდნენ, იმდენად დიდი იყო ამ ფეხბურთელის ღვაწლი მშობლიური „დინამოს" წინაშე. ეს შეხვედრა საბოლოოდ თბილისის „დინამომ" მოიგო და ლომის წილი ამ გამარჯვებაში სწორედ რომ იმ მეორე ნომერმა დაიდო.

კიდევ ერთი უცნობი შტრიხი ამ ფეხბურთელის შესახებ, რომელიც სულმნათმა გურამ ფანჯიკიძემ მიამბო ბიჭვინთაში დასვენების დროს.

„1970 წლის მექსიკის საფეხბურთო ჩემპიონატზე ქართული დელეგაციის წევრები მოგვათავსეს მეხიკოს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში, რომლის ყოველ კორპუსს შესანიშნავი საფეხბურთო მინდორიც ჰქონდა. ერთ მშვენიერ დღეს ადგილობრივი უნივერსიტეტის იმ სტუდენტებმა, რომლებიც მიზეზთა გამო არ იყვნენ წასულები არდადეგებზე, ამხანაგური საფეხბურთო მატჩის ჩატარება შემოგვთავაზეს. ჩვენც უარი არ გვითქვამს და სახელდახელოდ მოვახერხეთ 11 კაცის შეკრება, მატჩიც დაიწყო. ერთ-ერთ ეპიზოდში ჩვენმა მეკარემ ბურთი ხელით მარჯვენა მცველს მიაწოდა... რომელსაც თბილისის „დინამოში" თამაშისთვის თავი, არც მეტი არც ნაკლები, 12 წლის დანებებული ჰქონდა... ჩვენმა მეორე ნომერმა წამოიწყო რეიდი, გადასცდა ცენტრალურ ხაზს, როცა უკვე მოტყუებული ჰყავდა მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეთა ნახევარზე მეტი, შემდეგ დანარჩენებიც მიუმატა, მიუახლოვდა საჯარიმო მოედნის ხაზს და ძლიერად დაარტყა კარში — ბურთი ბადეში ისე გაეხვია, მეკარემ არა თუ რეაგირება, თვალის გადავლებაც ვერ მოასწრო. ჩვენმა გუნდმა, სამწუხაროდ, 30 წუთის მეტი ვერ გაძლო მოედანზე, მოვიმიზეზეთ, თითქოს სადღაც გვეჩქარებოდა და თამაში შევწყვიტეთ. მომდევნო დღეებში რევანშის წყურვილით აღგზნებული სტუდენტები წამდაუწუმ გვთხოვდნენ კიდევ გვეთამაშა მათთან ამხანაგური მატჩი. რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, არ შედგა. მიზეზი, ვიმეორებ ჩვენი ფიზიკური მოუმზადებლობა იყო"... ახლა იმ საკავშირო პირველობის კალენდარულ მატჩზე მინდა გიამბოთ: როდესაც ზემოაღნიშნული ფეხბურთელი პირველად ვიხილე თბილისის „დინამოს" სტადიონზე. ეს იყო 1955 წლის 2 აგვისტოს მოსკოვის „დინამოსთან". მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული შეხვედრა თბილისელმა ფეხბურთელებმა წააგეს დიდი ანგარიშით 2-6. თბილისელი მეორე ნომერი, გუნდის კაპიტან ავთანდილ ღოღობერიძესთან ერთად, საუკეთესო იყო მწვანე მინდორზე. მას ევალებოდა მოსკოვის „დინამოს" მარცხენა გარემარბ რიჟკინის მეურვეობა. რომელიც, მართლაც სავსებით გამოთიშა თამაშიდან, წამდაუწუმ სამედიცინო შველას ითხოვდა, თუმცა უხეშობა მის წინააღმდეგ არ ყოფილა. თბილისელთა მარჯვენა მცველს შეუპოვრობასთან და რისკის ზღვარზე თამაშთან ერთად უზადო ტექნიკაც გააჩნდა, რომლის დემონსტრირებას იგი ეპიზოდურად ახერხებდა მომთხოვნი თბილისელი მაყურებლის წინაშე. ეს შეუმჩნეველი არ დარჩათ საბჭოთა ფეხბურთის მესვეურებს და საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებში მიიწვიეს ბორის ხასაიასთან ერთად. მაგრამ... მოხდა ისე, რომ ორივე ფეხბურთელი ხანგრძლივი დროით ტრავმის გამო ჩამოცილდა მშობლიურ „დინამოსაც" კი. თუ ბორის ხასაიამ ვერ შეძლო „დინამოში" დაბრუნება და კარიერა მშობლიურ სოხუმში გააგრძელა — თბილისელთა მეორე ნომერი დაუბრუნდა მწვანე მინდორს, მაგრამ თვითონვე ატყობდა, რომ ვერ იყო ძველებურ ფორმაში და მიუხედავად თბილისის „დინამოს" მაშინდელი გენიალური დამრიგებლის ანდრო ჟორდანიას დაჟინებული თხოვნისა, აღარ გააგრძელა თამაში, გამოემშვიდობა დიდ ფეხბურთს.

ახლა ვფიქრობ დროა გითხრათ თუ ვისზეა საუბარი — იგი ვლადიმერ ელოშვილი გახლავთ. ამ ფეხბურთელმა 166 ოფიციალურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა საკავშირო პირველობაზე და გაიტანა 5 (!) გოლი, ამ გოლების თანმიმდევრობა კი ასეთია: არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის სახელგანთქმულ ვლადიმერ ნიკონოროვის კარი დალაშქრა, მეკარისა, რომელიც იმჟამად პირველ გოლკიპერად ითვლებოდა. ერთი წლის შემდეგ, 1954 წელს კი ორიგინალური სვლით შეარხია მოსკოვის „ტორპედოს" კარის ბადე, 1957 წელს მინსკში ადგილობრივ „სპარტაკთან" მატჩში გაიტანა გოლი და იმავე 1957 წლის სეზონში თბილისში დონეცკის „შახტიორი" აიძულა ცენტრიდან დაეწყო თამაში.

ვლადიმერ ელოშვილი ორჯერ იყო სსრ კავშირის ვერცხლისა და ერთხელ ბრინჯაოს პრიზიორი, 1950 წელს მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება.

ვლადიმერ ელოშვილის საფეხბურთო ასპარეზზე გამოჩენა უკავშირდება პოლიტიკაში ე.წ. „დათბობის" პერიოდს, როდესაც, როგორც კავშირის მასშტაბით, ისე საქართველოში გახშირდა უცხოური პროფესიული საფეხბურთო კლუბების სტუმრობა. ფეხბურთის ძირძველ მოყვარულთ კარგად ახსოვთ იმხანად ბრაზილიის სახელგანთქმული საფეხბურთო კლუბის „ატლეტიკო — პორტუგეზას", ინგლისის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" და სხვათა გამოსვლები თბილისის „დინამოს" სტადიონზე. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ მატჩებში ქართველ ფეხბურთელებს თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენიათ (2-2 ბრაზილიელებთან და დამარცხება 0-3 ინგლისელებთან) სტუმართა ხელმძღვანელობა, როგორც გამონაკლისი, ერთხმად აღნიშნავდა ვლადიმერ ელოშვილის საზრიან და ათლეტურ თამაშს და აღიარებდა, რომ იგი ნებისმიერ უცხოურ პროფესიულ საფეხბურთო კლუბს დაამშვენებდა. ზემოაღნიშნულ შეხვედრათა გარდა, ვლადიმერ ელოშვილს ათეულობით საერთაშორისო და საკავშირო თასის გათამაშების შეხვედრებში უასპარეზია და ჩატარებულ შეხვედრათა საერთო ჯამი ალბათ ორასს გადააჭარბებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდების ზენიტში მყოფი ვლადიმერ ელოშვილი 1957 წელს ცნობილმა მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მიიწვია, მაგრამ მან მოსკოვში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ტურნირში უკრაინის ნაკრებთან მატჩში ტრავმა მიიღო და, ცხადია, ვერ დაიმკვიდრა ადგილი ნაკრებში. შემდგომშიც ტრავმები მისი მუდმივი თანამგზავრი გახდა, ამას 1958 წლის საფეხბურთო სეზონის გახსნის წინ თბილისის „ლოკომოტივთან" გენერალურ რეპეტიციაზე მიღებული ტრავმაც დაემატა და 32 წლის ასაკში გამოეთხოვა დიდ ფეხბურთს. აღსანიშნავია, რომ 50-იან წლებში თბილისის „დინამოს" დაცვის ხაზი მეკარე მარღანია, მცველები — ელოშვილი, ძიაპშიპა, სარჯველაძე უძლიერესი გახლდათ კავშირის მასშტაბით და სამართლიანად აღნიშნავდა სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კაპიტანი ვსევოლოდ ბობროვი, რომ ჰელსინკში, 1952 წლის ოლიმპიურ ასპარეზობაზე თბილისის „დინამოს" ზემოაღნიშნულ დაცვის ხაზს რომ ეთამაშა, შედეგიც, ადვილი შესაძლებელია, სხვანაირი ყოფილიყო და ნაადრევად არ გამოეთიშებოდა საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები ასპარეზობასო.

ვლადიმერ ელოშვილი ფეხბურთიდან არ წასულა. წლების განმავლობაში იგი სათავეში ედგა თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლას და ტყავის ბურთის არაერთი უბადლო ოსტატი აღუზარდა ქართულ ფეხბურთს — რომელთა რიცხვშია დღევანდელი საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. ჩივაძე.

დემურ ტორაძე

P.S.* *აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მცველს ფრანც ბეკენბაუერს ოთხი ავტოგოლი აქვს გატანილი.

ვლადიმერ ელოშვილს 18 დეკემბერს 75 წელი შეუსრულდა.

ჩემი მისამართია: რიო-დე-ჟანეირო. რონალდოს ქუჩა

„ბრაზილიური ფეხბურთის“ ვარსკვლავი რონალდო ზედიზედ რამდენიმე სპორტულმა გამოცემამ, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად სცნო. ყველასათვის ცნობილ „ფრანს ფუტბოლს“ მალე ჟურნალი „ონზ მონდიალი“ მიჰყვა, რომლის მკითხველთა უმრავლესობამ ბრაზილიელს დაუჭირა მხარი. აღიარებიდან რამდენიმე საათში რონალდომ ინტერვიუ მისცა „ონზ მონდიალს“.

• რას ნიშნავს თქვენთვის წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება?

— ბედნიერი ვარ, რომ ფეხბურთის მოყვარულებისაგან ასეთი შეფასება დავიმსახურე. ბედნიერი ვარ, რომ ამ ხალხს უყვარს ფეხბურთი, დადის სტადიონებზე და ჩვენც მათ გასახარად ვთამაშობთ.

• ვის უძღვნი ჯილდოს, რომელიც „ონზ მონდიალმა“ მოგაკუთვნათ?

— ჩემს ოჯახს, ახლობლებს, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში გვერდში მედგნენ, აგრეთვე იმ ექიმებს, რომლებმაც მძიმე ტრავმის მიღების შემდეგ ფეხზე დამაყენეს...

• წლის დასაწყისში თუ ფიქრობდით იმაზე, რაც მსოფლიო ჩემპიონატზე და ბოლო პერიოდში შეძელით?

— სიმართლე გითხრათ, ამას არ მოველოდი. სიურპრიზს სიურპრიზები მოსდევდა, ამიხდა ყველა ოცნება: გავხდი მსოფლიო ჩემპიონი, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, სათამაშოდ გადავედი მსოფლიოში საუკეთესო გუნდში — მადრიდის „რეალში“... მაგრამ ჩემი მთავარი გამარჯვება ის არის, რომ დღეს მე ფეხბურთს კვლავ ვთამაშობ, — ეს იყო ჩემი უმთავრესი ამოცანა ერთი წლის წინ, რომელიც შევასრულე.

• შეიძლება ვთქვათ, რომ რონალდო ორჯერ დაიბადა — 1976 და 2002 წლებში?

— მართალს ბრძანებთ.

• როგორ განვლეთ ორი წელიწადი ფეხბურთის გარეშე?

— მძიმე დრო იყო. ყველა ღონეს ვხმარობდი, რომ როგორმე მოედანს დავბრუნებოდი... ფეხბურთი მენატრებოდა. სწორედ სპორტის ამ სახეობისადმი დაუოკებელმა ლტოლვამ და სიყვარულმა შემაძლებინა მოედანზე დაბრუნება.

რონალდო მეუღლესთან და შვილთან ერთად

• თუ გაგჩენიათ აზრი იმისა, რომ შეიძლებოდა საერთოდ ვეღარ დაბრუნებულიყავით დიდ ფეხბურთში?

— იყო ასეთი შემთხვევები, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ფეხბურთის გარეშე ვერ გავძლებდი.

• ადრე ბევრჯერ გითქვამთ, რომ თქვენი ტრავმები თანამედროვე ფეხბურთიდან გამომდინარეობს... როგორ გავიგოთ?

— მე არ ვამტკიცებ, რომ ტრავმები იმის ბრალია, რომ ბევრ მატჩს ვთამაშობ, თუმცა ჩემი აზრით, მატჩების რაოდენობა უნდა შემცირდეს. ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტ შეხვედრებში ვიღებთ მონაწილეობას და ვარსკვლავმა, ცხადია, ყველა მათგანში თავისი კლასი უნდა წარმოაჩინოს. ხალხს კი ავიწყდება, რომ ყველა თამაშს ერთ დონეზე ვერ ჩაატარებ: ბოლოს და ბოლოს ჩვენ ადამიანები ვართ და არა, რობოტები.

• იხილავენ გულშემატკივრები იმ როლანდოს, რომელიც 90-იან წლებში ბრწყინავდა?

— ცხადია, მე ჯერ ვერ მივაღწიე იმ დონეს, თუმცა ცოტა მოთმინებაც და ის დროც დადგება.

• გავიხსენოთ მსოფლიო ჩემპიონატი იაპონიასა და სამხრეთ კორეაში. ბევრი სპეციალისტის აზრით, ეს არცთუ მაღალი დონის პირველობა იყო...

— ვერ დაგეთანხმები. პირადად მე ბრწყინვალე მატჩებში ვიასპარეზე, ბევრი დიდებული მომენტი ვნახე. ჩემპიონატი არ მოეწონათ იმათ, ვინც წააგეს. ჩვენ კი დიდებულად ვითამაშეთ. ვთვლი, რომ მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატი იყო ყველაზე საუკეთესო იმ ჩემპიონატებს შორის, რაც კი ბოლო პერიოდში ჩატარებულა.

• იმასაც ამბობენ, რომ ბრაზილიის წლევანდელი ნაკრები ძველი „დიდი გუნდივით“ ვერ ბრწყინავდა...

— არც ეს არის მართალი. მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ამ რანგის შეჯიბრების ფინალურ სტადიაზე პირველად წარვდექით ისე, რომ ფავორიტებად არ გვთვლიდნენ. გუნდი ხომ ბოლო მომენტში მოხვდა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე... ამის მიუხედავად, ბრწყინვალედ ჩავატარეთ ყველა შეხვედრა და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

• ბრაზილიის ნაკრების ტრიუმფი განაპირობა ალბათ იმანაც, რომ შეჯიბრებას ნაადრევად გამოეთიშნენ ფავორიტები იტალია, საფრანგეთი, არგენტინა...

— რა თქმა უნდა, ბრაზილია — არგენტინისა ან ბრაზილია — საფრანგეთის მატჩი ჩემპიონატის უფრო დიდი მშვენება იქნებოდა, ვიდრე ჩვენი და თურქების შეხვედრა იყო, თუმცა თურქეთის ნაკრებმაც ხომ დიდი ფეხბურთი ითამაშა: ორჯერ დავამარცხეთ და ორჯერვე დიდი ძალისხმევით. ყველაზე მეტად ბელგიელებთან მატჩში გაგვიჭირდა. ევროპელებმა თავგანწირული ბრძოლა გაგვიმართეს და შესაძლებელი იყო, მატჩიც თავიანთ სასარგებლოდ დაესრულებინათ.

• რა გაკვეთილი მივიღეთ ამ ჩემპიონატისაგან?

— შევიგნეთ, რომ ნებისმიერ გუნდს შეუძლია დიდი ფეხბურთის თამაში, ეს ძალიან კარგია სპორტის ამ სახეობის საერთო განვითარებისათვის.

• როდის იგრძენით, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი გმირი გახდებოდით?

— პირად პოზიციებზე არასდროს მიფიქრია. მხოლოდ ერთი მიზანი მამოძრავებდა: ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გამხდარიყო და მაქსიმალურად ვიხარჯებოდი მოედანზე. ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ნაკრებში მარტში გამომიძახეს და დანამდვილებით არ ვიცოდი, მოვხვდებოდი თუ არა მსოფლიო ჩემპიონატზე.

• აღნიშნული ჩემპიონატი თქვენთვის რიგით მესამე იყო და ალბათ ყველაზე საუკეთესო...

— დიახ. 1994 წელსაც მსოფლიო ჩემპიონი გავხდი და ოქროს მედალიც მივიღე, თუმცა ერთ მატჩშიც არ მიმიღია მონაწილეობა. მაშინ ძალიან ახალგაზრდა, გამოუცდელი ვიყავი. ოთხი წლის შემდეგ ფინალში წავაგეთ საფრანგეთის ნაკრებთან. წლევანდელი ტურნირი კი ჩემი კარიერის აპოთეოზი იყო.

• იტყვით თუ არა ბოლოს და ბოლოს სიმართლეს: რა დაემართა რონალდოს ოთხი წლის წინ, ფრანგებთან ფინალურ მატჩში?

— მერწმუნეთ, ამის შესახებ არანაირი საიდუმლო არ არსებობს. ფინალის დღეს, დილით ცუდად გავხდი, ექიმებმა ვერაფერი გაარკვიეს. ვითამაშე, რაც შემეძლო. წავაგეთ იმიტომ, რომ ბრაზილიის ნაკრებმა ითამაშა ცუდად.

• რატომ არიან ბრაზილიელები უძლიერესნი მთელ მსოფლიოში? რით გამოირჩევიან ბრაზილიელი ფეხბურთელები დანარჩენი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან?

— ლამაზი ტექნიკით და კიდევ... ყველაზე მეტად ფეხბურთი ბრაზილიაში უყვართ და ჩვენც, მაქსიმალურად ვიხარჯებით თითოეულ მატჩში, რათა მათ სიამოვნება მივანიჭოთ.

• როგორ გესახებათ ბრაზილიის ნაკრების მომავალი?

— ასეთივე სულისკვეთებით უნდა გაგრძელდეს ბრძოლა.

• მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატისათვის თქვენ უკვე 30 წლის იქნებით. ფიქრობთ თუ არა ბრაზილიის ნაკრების მეექვსე ჩემპიონობაზე?

— გვაცალეთ, დავტკბეთ წლევანდელი გამარჯვებით. 2006 წლამდე დიდი დროა, იქამდე ბევრი რამ მოხდება.

• „ინტერის“ დატოვებით გარკვეულწილად იმიჯი შეილახეთ, რადგან მიატოვეთ გუნდი, რომელმაც ყველაფერი გაიღო თქვენი გამოჯანმრთელებისათვის.

— სამწუხაროა, თუმცა მე ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ვთქვ;; რომ ექტორ კუპერთან არ ვიმუშავებდი და რაკი „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ეს პიროვნება ისევ მწვრთნელად დატოვა, რასაც ნახევარი გუნდი ეწინააღმდეგებოდა, მეც ავდექი და წამოვედი.

რაც შეეხება ტრავმის მოშუშებისათვის ხარჯების გაღებას, მე საფეხბურთო მატჩში დავშავდი და არა პლაჟზე. ასეთ შემთხვევაში, ყველა კლუბი ვალდებულია, იზრუნოს საკუთარი დაშავებული მოთამაშის გამოჯანმრთელებაზე.

• მადრიდის „რეალში“ ჩარიცხვის პირველსავე დღეს განაცხადეთ, რომ ისეთივე რიგითი მოთამაშე ხართ, როგორც სამეფო კლუბის დანარჩენი წევრები... ისევ ამ აზრის ხართ?

— რა თქმა უნდა, გუნდში ყველა ერთნი ვართ, მერე რა, რომ ზოგიერთებს ვარსკვლავად თვლიან...

• და მაინც, მადრიდის „რეალი“ თქვენს მისვლამდეც სუპერ ვარსკვლავების გუნდი იყო. რას შემატებთ თქვენ ამ „ვარსკვლავთა გუნდს“?

— რა თქმა უნდა, — გოლებს.

• „რეალში“ თამაშობს ისეთი დიდებული ფეხბურთელი, როგორიც ზინედინ ზიდანია. წარმოიდგინეთ, თქვენ რომ მოგცენ არჩევანის უფლება, ვის დაასახელებდით მსოფლიოს წლის საუკეთესო მოთამაშედ, — ზიდანს თუ საკუთარ თავს?

— ვერ გეტყვით, ზიდანი მართლაც ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ საკუთარი თავიც მიყვარს (იცინის), განა წელს მე ცუდად ვითამაშე? ისე, ზინედინ ზიდანთან გვერდით თამაშზე ვოცნებობდი. ეს ადამიანი ხომ „რეალის“ 80 პროცენტია. ის წარმართავს გუნდის თამაშის რიტმს.

• რა გრძნობას განიცდის ადამიანი, რომლის სახელიც სიცოცხლეშივე რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთ ქუჩას ჰქვია?

— ის ამაყობს ამით! ჩემი სახელი დაერქვა ქუჩას, სადაც ჩემი სახლი დგას, სადაც ფეხი ავიდგი და პირველი ნაბიჯი გადავდგი დიდი ფეხბურთისკენ, ასე რომ, თუ კი ვინმეს წერილის გამოგზავნა გსურთ, მომწერეთ... ჩემი მისამართია: ბრაზილია, რიო-დე-ჟანეირო, რონალდოს ქუჩა, რონალდო.

მოამზადა თენგიზ ჩოგანიძემ.

რონალდო — წლის საუკეთესო ფეხბურთელი

რონალდო
კანი
ზიდანი

ოფიციალურად მოწყობილ გალა-წარმოდგენაზე, ფიფას ვერსიით წლის საუკეთესო ფეხბურთელად, როგორც მოსალოდნელი იყო, რონალდო დაასახელეს. ეს ფიფასეული წოდება ბრაზილიელმა მესამედ მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ წლის საუკეთესო ფეხბურთელი 148 ქვეყნის ნაკრებთა მწვრთნელთა გამოკითხვით გამოავლინა. რონალდომ 387 ქულა მიიღო (პირველი ადგილის მიკუთვნებისათვის ფეხბურთელს 5 ქულა ეწერებოდა, მეორე ადგილისათვის — 3, ხოლო მესამე ადგილისათვის — ერთი). მეორე ადგილზე გავიდა ოლივერ კანი — 171 ქულა, მესამეზე — ზინედინ ზიდანი — 148 ქულა.

გარდა ამისა, გალა - წარმოდგენაზე რონალდოს გადასცეს მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისათვის დაწესებული პრიზი (ბრაზილიელმა 8-ჯერ დალაშქრა მეტოქის კარი).

და ბოლოს, გაგაცნობთ, ფიფას ვერსიით გასული წლების ყველა ლაურეატს: 1991 — ლოთარ მათეუსი. 1992 —— მარკო ვან ბასტენი, 1993 — რობერტო ბაჯო. 1994 — რომარიო, 1995 — ჯორჯ ვეა, 1996-1997 — რონალდო, 1998 — ზინედინ ზიდანი. 1999 —— რივალდო,. 2000 — ზინედინ ზიდანი, 2001 — ლუიშ ფიგუ.

რონალდოს „ოქროს ბურთიც“ აჩუქეს

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა რონალდომ კიდევ ერთი პრიზი მიიღო, ამჯერად ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის“ მიერ ევროპაში მოთამაშე საუკეთესო ფეხბურთელისათვის დაწესებული პრიზი „ოქროს ბურთი“. ამ პრიზის ფლობელის გამოვლენისათვის ჩატარებულ ჟურნალისტთა გამოკითხვაში 171 ქულა მიიღო. მეორე ადგილზე გავიდა მისი თანამემამულე და თანაგუნდელი რობერტო კარლოსი - 145 ქულა, ხოლო მესამეზე - გერმანიის ნაკრების გოლკიპერი ოლივერ კანი.

აღსანიშნავია, რომ რონალდო გახდა პირველი არაევროპელი, რომელმაც უკვე ორჯერ მიიღო ეს ჯილდო. სხვათა შორის, მის გამარჯვებაში ეჭვი არავის შეპარვია. არადა, ის, რაც მან მიმდინარე წელს მოახერხა, საბავშვო ზღაპარს ჰგავს. შეგახსენებთ, რომ მუხლის ტრავმის გამო ბრაზილიელს ორი წელი გაუცდა... არავის სჯეროდა მისი ფეხბურთიში დაბრუნების... დაბრუნდა, თუმცა თავიდან გადაბმულად ორ მატჩსაც კი ვერ თამაშობდა, გოლები კი... მაინც გაჰქონდა.

მსოფლიო ჩემპიონატზე რონალდომ ნამდვილი ფურორი მოახდინა - წარმოაჩინა თავისი საუკეთესო თვისებები... ფეხბურთელი, რომელიც ორი წელი არ გამოჩენილა მოედანზე, მსოფლიო ჩემპიონატის გმირი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ოლივერ კანი დაასახელეს, ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს წოდებაც რონალდოს ეკუთვნოდა. მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის შემდეგ რონალდო პირველია, ვინაც ამ რანგის პირველობის ფინალურ სტადიაზე 8 გოლი გაიტანა.

ისიც უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ რონალდომ თავად შეილახა რეპუტაცია, როცა ჯერ მილანის „ინტერში“ თამაშის გაგრძელების სურვილი გამოთქვა (იტალიურმა კლუბმა ბრაზილიელი ფეხბურთელის გამოჯანმრთელობისათვის ხომ უამრავი თანხა დახარჯა), შემდეგ კი მადრიდის „რეალში“, რომ იტყვიან, გაიქცა...

ამის შემდეგ რონალდო, შეიძლებოდა წლის ლაურეატობის გარეშე დარჩენილიყო, მაგრამ... მას, უბრალოდ, კონკურენტი არ ჰყავდა. თვით რობერტო კარლოსისთვისაც კი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაც მოიგო, ვერ გაიმეტეს ეს ჯილდო. ეს მხოლოდ და მხოლოდ რონალდოს მსოფლიო ჩემპიონატზე ჩადენილმა გმირობამ განაპირობა.

და ბოლოს, გაგაცნობთ „ოქროს ბურთის“ ყველა ლაურეატს:

1956 წელი - სტენლი მეტიუზი, 1957 - ალფრედო დი სტეფანო, 1958 - რაიმონ კოპა, 1959 - ალფრედო დი სტეფანო, 1960 - ლუის სუარესი, 1961 - ომარ სივორი, 1962 - იოზეფ მასოპუსტი, 1963 - ლევ იაშინი, 1964 - დენის ლოუ, 1965 - ეუსებიო, 1966 - ბობი ჩარლტონი, 1967 - ფლორიან ალბერტი, 1968 - ჯორჯ ბესტი, 1969 - ჯანი რივერა, 1970 - გერდ მიულერი, 1971 - იოჰან კრუიფი, 1972 - ფრანც ბეკენბაუერი, 1973-1974 - იოჰან კრუიფი, 1975 - ოლეგ ბლოხინი, 1976 - ფრანც ბეკენბაუერი, 1977 - ალან სიმონსენი, 1978-1979 - კევინ კიგანი, 1980-1981 - კარლ ჰაინც რუმენიგე, 1982 - პაოლო როსი, 1983-1985 - მიშელ პლატინი, 1986 - იგორ ბელანოვი, 1987 - რუუდ გულიტი, 1988-1989 - მარკო ვან ბასტენი, 1990 - ლოთარ მათეუსი, 1991 - ჟან პიერ პაპენი, 1992 - მარკო ვან ბასტენი, 1993 - რობერტო ბაჯო, 1994 - ხრისტო სტოიჩკოვი, 1995 - ჯორჯ ვეა, 1996 - მათიას ზამერი, 1997 - რონალდო, 1998 - ზინედინ ზიდანი, 1999 - რივალდო, 2000 - ლუიშ ფიგუ, 2001 - მაიკლ ოუენი, 2002 - რონალდო.

ბექჰემი... შოკოლადში

იაპონიის დედაქალაქში დადგეს ბრიტანელი ფეხბურთის ვარსკვლავის დევიდ ბექჰემის სამმეტრიანი სკულპტურა, რომელიც დამზადებულია.... შოკოლადისაგან. ასე გამოხატეს იაპონელებმა თავიანთი სიმპატიები ინგლისელისადმი.

ერთი კია, რომ მნახველებს, არ აქვთ საშუალება დატკბნენ შოკოლადის ბექჰემის გემოთი. სკულპტურას შუშის ვიტრინა და ორი პოლიციელი იცავს. ბექჰემის პოპულარობა ამომავალი მზის ქვეყანაში მას შემდეგ გაიზარდა, რაც ფეხბურთელმა განაცხადა, რომ შესაძლოა, თავისი კარიერა რომელიმე იაპონურ საფეხბურთო კლუბში გააგრძელოს. გარდა ამისა, ბექჰემი იქ საფეხბურთო სკოლის გახსნასაც აპირებს.

შევჩენკო „მილანში“ 2006 წლამდე დარჩება

როგორც იქნა, საბოლოოდ გაირკვა „მილანის“ უკრაინელი ფორვარდის ანდრეი შევჩენკოს ბედი. ეს ფეხბურთელი იტალიურ კლუბში 2006 წლამდე დარჩება. ამით საბოლოოდ ბოლო მოეღო ჭორებს მისი მადრიდის „რეალსა“ თუ ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედში“ შესაძლო გადასვლის თაობაზე.

„მილანის“ მთავარმა მწვრთნელმა კარლ ანჩელოტიმ განაცხადა, რომ გუნდი უახლოეს პერიოდში ფეხბურთელების გაყიდვას არ აპირებს.

ნბა

ჯორდანმა ძველი დრო „გაიხსენა“



ნბა-ს მიმდინარე სეზონში მაიკლ ჯორდანმა პირველი საუკეთესო მატჩი ითამაშა. მისმა „ვაშინგტონმა“ ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად „მემფისთან“ — 118:100. აღნიშნულ შეხვედრაში ჯორდანმა 35 წუთი ითამაშა და გუნდს 33 ქულა შესძინა, 5-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან, 3-ჯერ ჩაჭრა გადაცემა და ორი შედეგიანი პასი გააკეთა.

დანარჩენი მატჩები: „კლიპერსი“ — „პორტლენდი“ 93:97, „გოლდენ სტეიტი“ — ნიუ ორლეანი“ 111:106, „სიეტლი“ — „სან ანტონიო“ 88:91, „ჰიუსტონი“ — „ინდიანა“ 95:83, „იუტა“ — „ორლანდო“ 90:97, „დენვერი“ — „დალასი“ 75:80, „ჩიკაგო“ — „ტორონტო“ 96:83, „ბოსტონი“ — „მაიამი“ 81:91, „კლივლენდი“ — „დეტროიტი“ 106:111, „ფილადელფია“ — „მინესოტა“ 99:94.

მიკა ჰაკინენი ავტოსპორტში მიდის

„ფორმულა-1“-ში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მიკა ჰაკინენი აპირებს კარიერა ავტოსპორტში გააგრძელოს. 2003 წლის იანვრის მიწურულს, ჰაკინენი საპატიო სტუმრის სტატუსითაა მიწვეული რალიში ევროპის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე, რომელიც „რალი ლაპლანდიით“ არის ცნობილი.

„ყოველთვის მაოცებდა ის, რომ ავტოსპორტში მაღალი სიჩქარით დაჰქროდნენ ნებისმიერ გზაზე“ — ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება ავტოსპორტიში გადასვლის შესახებ 34 წლის ჰაკინენმა, რომლის განკარგულებაში იქნება ამერიკული ავტომანქანა „მიცუბიში ლანს ევო 7“.

შეგახსენებთ, რომ „ფორმულა-1“-ის 2001 წლის სეზონის დასრულების შემდეგ, ჰაკინენმა ერთწლიანი შვებულება აიღო, თუმცა ბოლო მომენტში გადაწყვიტა, აღარ დაბრუნებოდა „ფორმულა-1“-ს.

ღვაწლმოსილი მამულიშვილი



გუშინ საქართველოს საჭადრაკო საზოგადოებამ მარადისობაში გააცილა ძველი თაობის ეროვნული ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭადრაკში, 78 წლის ოთარ თურქესტანიშვილი. იგი თითქმის სამოცი წელი ერთგულად ემსახურა ქართულ ჭადრაკს.

ბატონი ოთარი 50-იან წლებში თბილისისა და საქართველოს ჩემპიონატებში მონაწილეობდა, მერე დაგროვილ მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემდა ნიჭიერ მომავალ თაობას. მან დააკვალიანა ცნობილი მოჭადრაკეები — დიდოსტატები ნინო გურიელი, ნანა იოსელიანი, იგორ ეფიმოვი, ოსტატი — დები ქეთევან და ნინო მელაშვილები. ახლახან საბერძნეთში მისმა აღზრდილმა საერთაშორისო ოსტატმა თამარ წერეთელმა ვერცხლის მედალი მოიპოვა მსოფლიო პირველობაზე 18 წლის გოგონათა შორის.

ოთარ თურქესტანიშვილი დიდად განათლებული, მაღალი ზნეობის ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო — პროფესიით ინჟინერ-არქიტექტორი. ყველგან, სადაც კი მას უმუშავია — „საქართველოს ენციკლოპედიის“ რედაქციაში თუ განათლების სამინისტროს სისტემაში — დიდი პატივისცემით იყო გარემოსილი.

ღვაწლმოსილ მწვრთნელს კალამი უჭრიდა. იგი ხალისით თანამშრომლობდა პირველ ქართულ საჭადრაკო გაზეთ „მერანში“ და ჟურნალ „ჭადრაკის სამყაროში“. მისი წერილები გამოირჩეოდა ერუდიციით, მასალის ღრმა ცოდნით და პროფესიონალიზმით.

ბატონ ოთარს უყვარდა ბავშვები. მათდამი მუდამ იყო ყურადღებიანი, მომფერებელი, თუნდაც ისინი არ ყოფილიყვნენ მისი მოწაფეები. ბოლოს მას კეთილმა გულმა უღალატა. გვენანება მისი წასვლა ამ წუთისოფლიდან. სამაგიეროდ, დაგვიტოვა მამა-პაპათა თამაშისადმი დაუოკებელი სიყვარული და ნათელი მოგონებები.

საქართველოს ჭადრაკის
ფედერაციის პრეზიდიუმი.

ქალაქ ფოთის სპორტკომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი აკადემიურ ნიჩბოსნობაში, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე 1974 წლიდან, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი

ოთარ ხომერიკი

დაკრძალვა 22.XII, ქ. ფოთში 15 საათზე (გურიის ქ. №63)

ოთარ ხომერიკი



საქართველოს სპორტულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა, უკურნებელი სენით ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი ოთარ თეოფილეს ძე ხომერიკი.

დაიბადა ქ. ფოთში 1937 წელს. 1956 წელს იქვე დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა. შემდეგ- საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი მწვრთნელ-პედაგოგის განხრით.

1961 წლიდან 1974 წლამდე სათავეში ედგა საქართველოს ახალგაზრდულ, შემდეგ ძირითად ნიჩბოსანთა ნაკრებ გუნდს.

1971 წელს მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა აღზრდა-მომზადებისათვის მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ხოლო 2002 წელს საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება. 1998 წელს ოთარ ხომერიკი დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“. 30 წელიწადი, გარდაცვალებამდე, მუშაობდა ქ. ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ. იგი ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, ვისაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოში სპორტის განვითარებაში. უაღრესად მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ჩვენს ქვეყანაში ნიჩბოსნობის განვითარებაში. თავად, როგორც სპორტსმენი, ხუთი წელი იცავდა საქართველოს ღირსებას აკადემიურ ნიჩბოსნობაში, იყო გუნდის კაპიტანი. როგორც მწვრთნელი, სათავეში ედგა ნაკრებ გუნდს. მისი ხელმძღვანელობით აკადემიურ ნიჩბოსნობაში ჩვენმა სპორტსმენებმა არაერთ წარმატებას მიაღწიეს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ჩვენს ქვეყანაში, პირველად ქალაქ ფოთში მისი ხელმძღვანელობით, შემუშავდა სპორტის განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომელიც შემდეგ განზოგადდა. დიდი წვლილი შეიტანა ფოთის მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცებაში. მისი ინიციატივით გაშენდა 3 სანიჩბოსნო ბაზა, საიალქნო და საჭადრაკო კლუბები, შეიქმნა საცხენოსნო ბაზა, წყალსათხილამურო კომპლექსი, რითაც ფოთი იქცა საკავშირო ნაკრები გუნდების საწვრთნელ-საშეჯიბრო ობიექტებად. პირველად საქართველოში აქ ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი წყალთხილამურებში.

უკანასკნელ პერიოდში ოთარ ხომერიკის ხელმძღვანელობით ქალაქში დამუშავდა სპორტის განვითარების კონცეფცია. ფართოდ დაიწყო საკლუბო სისტემის დანერგვა.

პროფესიონალიზმი, პრინციპულობა და თავმდაბლობა, ადამიანებისადმი სიყვარული და თანადგომა, უდიდესი ავტორიტეტი, საყოველთაო პატივისცემა იყო მისი ცხოვრების თანამგზავრი.

ოთარ ხომერიკის ნათელი ხსოვნა დავიწყებას არასოდეს მიეცემა.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაცია.

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ღრმა გულისტკივილით აღიქვა ქართული სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლის, სეოკ-ის სამეგრელო-ზემოსვანეთის ორგანიზაციის წევრის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, ღირსების ორდენის კავალრის

ოთარ ხომერიკის

გარდაცვალება. ვუსამძიმრებთ ოჯახს, ფოთის მთელ საზოგადოებრიობას.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



20 დეკემბერი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. ევრიკა. მსოფლიო სპორტი (11.20), ***НТВ плюс футбол*** ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (13.20), მინიფეხბურთი. რუსეთის თასი (14.25, 16.25, 19.20, 21.05), „ფუტბოლ მუნდიალი“ (15.55), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (17.50), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (22.20), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.05) ***НТВ плюс спорт*** .ჩქარი ჭადრაკი. ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩი ნიუ-იორკში (11.45, 22.25), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი (12.15, 0.00), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (17.15), ტაილანდური კრივი (19.05), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (21.30, 22.55). *EUROSPORT.* საცხენოსნო სპორტი: მსოფლიო თასი. შვეიცარიიდან (11.30), საცხენოსნო სპორტი. შეჯიბრება კონკურში. ინგლისიდან (1.00), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.30, 14.00, 15.00, 16.15, 17.00, 18.45, 19.45), ფეხბურთი, ჩემპიონთა ლიგის კლასიკა (22.00, 23.00, 2.15), სპორტული ცეკვები (3.15).

21 დეკემბერი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. ევრიკა. მსოფლიო სპორტი (23.30), ***НТВ***. პროფესიული კრივი: ვასილი ჟიროვი — ჯულიანო ლეტერო (23.10), ***НТВ плюс футбол.*** განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (13.15), 2002 წლის საუკეთესო ფეხბურთელი. ფიფას გალაწარმოდგენა (15.25), „ფუტბოლ მუნდიალი“ (18.10), ინგლისის ჩემპიონატი „არსენალი“ — „მიდლსბრო“ (18.55), მინიფეხბურთი. რუსეთის თასი. ფინალი (20.55), ამხანაგური მატჩი (22.25), ინგლისის ჩემპიონატი (0.25). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (11.20), ჩქარი ჭადრაკი. ა. კარპოვისა და გ. კასპაროვის მატჩი ნიუ-იორკიდან (13.20, 0.30), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.55, 14.55, 16.40), სკაიდაივინგი. მსოფლიო თასი. პირველი გადაცემა (18.30), „დიდი რინგი“ (19.30), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი (22.00), *EUROSPORT.* ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.00, 13.15, 14.30, 15.00, 16.15, 16.45, 19.30, 20.30), საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი. დიდი ბრიტანეთიდან (0.00, 1.00).

22 დეკემბერი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. ევრიკა. მსოფლიო სპორტი (23.30), ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატი (13.15), ესპანეთის ჩემპიონატი (15.00, 1.35), იტალიის ჩემპიონატი (17.55, 23.30), ინგლისის ჩემპიონატი: „ლივერპული“ — „ევერტონი“ (20.00), საკონტინენტთაშორისო თასი (21.50), ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.10, 15.55), დაიდო-ჯუკუ კუდო. გრან-პრი (17.05). სპორტული ცეკვები „მასტერ გალას“ ტურნირი (20.15)), ტაილანდური კრივი (0.00), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.00, 13.15, 14.00, 15.00, 16.00, 21.30, 2.15). ფეხბურთი. შობის დღესასწაული ჩემპიონთა ლიგასთან ერთად (19.30), საცხენოსნო სპორტი. შეჯიბრება კონკურში. დიდი ბრიტანეთიდან (1.00).

კროსვორდი № 99



თარაზულად: 1. ცნობილი უკრაინელი ჰოკეით მხტომელი, 4. სპორტის ტანვარჯიშული სახეობის წარმომადგენელი, 8. ვეტერანი ქართველი კალათბურთელი, 9. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 10. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 12. ტექნიკური ჯარიმა კალათბურთში, 13. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი, 15. მძლეოსნური იარაღი, 18. ფეხბურთელი, თბ. „დინამოს“ ვეტერანი მეკარე, 19. იაპონელი ფეხბურთელი, მს. ჩემპიონატის მონაწილე, 20. ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი 1966 წლის მს. ჩემპიონი, 21. ქუთაისის სარაგბო კლუბი.

შვეულად: 1. პროფესიონალი მოკრივე, რიდიკ ..., 2. სასკოლო ტანვარჯიშული ინვენტარი, 3. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი, 5. „რომას“ მწვრთნელი, 6. ვეტერანი უკრაინელი ფეხბურთელი, 7. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 11. სურინამელი ფეხბურთელი, თამაშობდა იტალიაში, 13. ცნობილი ხორვატი ფეხბურთელი, 14. ფეხბურთში მსოფლიო ორგზის ჩემპიონი ქვეყანა, 16. ნიგერიელი ფეხბურთელი, 17. პოლონეთის I დივიზიონის გუნდი, 18. საფეხბურთო კლუბ „რეალის“ ნახევარმცველი.

კროსვორდი №98 პასუხები:

თარაზულად: 1. კანიჯა, 3. მიატოვიჩი, 5. ზაგალო, 8. რიდლე, 11. ანთაძე, 12. „ბორდო“, 14. ანტიჩი, 16. ბაქანიძე, 17. ევერალდო, 20. ვიერი, 22. „ოსერი“, 25-26 გვარდიოლა, 26. ასანოვიჩი, 27. ილინი, 29. ტაიმი, 30. ამავისკა, 32. რავანელი, 33. მოლინა, 35. ამორი, 36. ელბერი, 39. ჯაიჩი, 41. იაშინი, 43. „იუვენტუსი“, 44. იურანი.

შვეულად: 1. კოლინა, 2. არტიმე, 3. მახარაძე, 4. იამანიძე, 5. ზამორა, 6. ოლსენი, 9-26 დარასელია, 12. ბესტი, 13. ოტერო, 16. ბატისტუტა, 18. ოვერმარსი, 19. გოგია, 20. ვიალი, 23. ივიჩი, 24. დეინა, 26. ალბერტოზი, 28. იებოა, 29. ტაიბი, 31. არდილესი, 32. რიციტელი, 33„ „მილანი“, 34. არტური, 36. ენჩოსი, 37. ინძაგი.

დიაგონალურად: 11-2 „ალანია“, 7-21. ზელერი, 22-10. ოვერატი, 5-15. ზამერი, 38-28. „არარატი“, 33-42 მაიერი, 29-40. ტარდელი, 44-37 „ინტერი“.

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია და მეგობრები თანაგრძნობას უცხადებენ ცნობილ ვეტერან მძლეოსანს ტარიელ ბახტაძეს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაცია და პირადად ამ ფედერაციის პრეზიდენტი ბეჟან ხურციძე, ფედერაციის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობამ შეიწირა საქართველოს ნიჩბოსანთა პირველი თაობის ღირსეული წარმომადგენლის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის, ღირსების ორდენის კავალრის, უბრწყინვალესი პიროვნების

ოთარ ხომერიკის

სიცოცხლე და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს, მთელ ქართულ სანიჩბოსნო სამყაროს.

ქ. ფოთის ნავსადგურის სანიჩბოსნო ბაზა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის ფოთის ფილიალი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქ. ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის, აკადემიურ ნიჩბოსნობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის, ღირსების ორდენის კავალრის,

ოთარ ხომერიკის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. ფოთის ნავსადგურის საიალქნო კლუბი ღრმა მწუხარებით იუწყება

ოთარ ხომერიკის

გარდაცვალებას და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ცხენოსნობის და თანამედროვე ხუთჭიდის ეროვნული ფედერაცია და ფოთის საცხენოსნო სპორტული ბაზა ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ოთარ ხომერიკის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი გაზეთის ძველი და მუდამ ერთგული მეგობრის ოთარ ხომერიკის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com